თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 24 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში პროგრამა ,,კორპუსი"-ს ფარგლებში გადასახური მასალის შეძენის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის (110 ობიექტი), საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენის (36 ობიექტი), ცენტრალური გზებიდან მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობის (32 ობიექტი) და ნაგავშემკრები ე.წ. ,,ბუნკერები"-ს გაუქმების და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შეძენის (745 ობიექტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში პროგრამა ,,კორპუსი"-ს ფარგლებში გადასახური მასალის შეძენის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის (110 ობიექტი), საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენის (36 ობიექტი), ცენტრალური გზებიდან მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობის (32 ობიექტი) და ნაგავშემკრები ე.წ. ,,ბუნკერები"-ს გაუქმების და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შეძენის (745 ობიექტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში პროგრამა ,,კორპუსი"-ს ფარგლებში გადასახური მასალის შეძენის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის (110 ობიექტი), საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენის (36 ობიექტი), ცენტრალური გზებიდან მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობის (32 ობიექტი) და ნაგავშემკრები ე.წ. ,,ბუნკერები"-ს გაუქმების და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შეძენის (745 ობიექტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 27 ივლისს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 27 ივლისი 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: _____ კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი